მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №8

ქ. მარტვილი 14 სექტემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 13:00 სთ-ზე, დამთავრდა 14:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ელიზბარ ახვლედიანი, ირინა გადელია, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, ვლადიმერ დანელია, პაატა პირტახია, ბექარ კუკანია, მიხეილ ნაჭყებია და დათო ხელაია.
სხდომას თავმჯდომარეობდა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ელიზბარ ახვლედიანი.
მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ელიზბარ ახვლედიანმა დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი-ელიზბარ ახვლედიანი, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაცია გაიარა კომისიის 9 წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ელიზბარ ახვლედიანის მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კომისიამ კენჭისყრის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება:
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე 7. წინააღმდეგი1. თავი შეიკავა 1.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი და საკითხი ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ელიზბარ ახვლედიანი